პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
ხუთშაბათი, 27 მარტი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 460 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე.

კიდევ ცნობის შესახებ.

საბჭოთა კავშირი იურიდიულად იცნო კიდევ ერთმა სახელმწიფომ—დანიამ. მიუხედავათ საფრანგეთის იმპერიალიზმის და ზოგიერთ წვრილფეხა იმპერიალისტური სახელმწიფოების გამძაგებული მტრული კამპანიისა ცნობის წინააღმდეგ, ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა დღითი დღე მტკიცდება და ძლიერდება. ამას აღნიშნავს ისეთი სახელმწიფოს პრესაც, როგორც შვეიცარია არის. შვეიცარიის გაზეთები ძლიერ დაღონებული არიან საბჭოთა რესპუბლიკების ცნობით, მაგრამ ამავე დროს იძულებული არიან აღიარონ სინამდვილე. „დიდი სახელმწიფოები“, ამბობს ერთ ერთი შვეიცარიის გაზეთი „იძულებული ხდებიან იცნან საბჭოთა კავშირი, რადგან უამისოთ შეუძლებელია რომელიმე ევროპიული საკითხის გადაჭრა“.

დღითი დღე ევროპა რწმუნდება, თუ რა რიგ დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ცნობას. ბრწყინვალე შედეგები, რომელიც აღწევს ჩვენი საგარეო ვაჭრობა და განსაკუთრებით საბჭოთა პური ევროპის ბაზარზე უფრო აძლიერებს მათ სურვილს იცნან საბჭოთა კავშირი.

საგარეო ვაჭრობასთან ერთად განმტკიცდა ჩვენი ვალიუტაც საერთაშორისო ბაზარზე. როგორც დღევანდელი რადიო გადმოგვცემს ამერიკის ბირჟაზე ჩერვონეცი თავისი კურსით ყველა ევროპის ვალიუტაზე მაღლა სდგას.

ამიტომ ყველა სახელმწიფოები ისწრაფიან საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენისაკენ. მართალია უკანასკნელ დღეებში ჩინეთთან გართულდა მდგომარეობა, მაგრამ როგორც უკანასკნელი დეპეშები გადმოგვცემენ, ჩინეთის მთავრობის მტრულ ნაბიჯს აღშფოთებით შეხვდა ჩინეთის ხალხი.

მრავალ რიცხოვანი დემონსტრაციები მოითხოვენ ჩინეთის მთავრობისაგან საბჭოთა კავშირის დაუყონებლივ ცნობას. საბჭოთა კავშირის მხარეზეა ყველა ქვეყნების მშრომელთა სიმპატია და მთავრობები იძულებული ხდებიან ანგარიში გაუწიონ მათ მოთხოვნილებებს.

და რაც ადრე იცნობენ საბჭოთა კავშირს დანარჩენი სახელმწიფოები, მით უკეთესი მათთვის. „ვინც დაიგვიანებს ის ბევრს დაკარგავს“.

საბჭოთა კავშირის და ინგლისის მოლაპარაკების გარშემო.

აპრილის თვეში ლონდონში გაიმართება მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის და ინგლისის შორის.

მოლაპარაკებისათვის მზადება უკვე დაიწყო. საბჭოთა კავშირის მხრივ დელეგაცია უკვე შედგენილია ამხ. რაკოვსკის მეთაურობით. ხსენებულ მოლაპარაკების მიზანია ყველა სადავო საკითხებზე შეთანხმების მიღწევა. მოლაპარაკების მთავარ საგანს შეადგენს ვალების, ზარალის ანაზღაურების საკითხები.

ინგლისის მთავრობა ჩვენგან მოითხოვს მეფის ვალების გადახდას და იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მიაყენა ოქტომბრის რევოლიუციამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ინგლისის კაპიტალისტებს რუსეთში. როგორც ვიცით თვითმპყრობელობის დროს ინგლისის კაპიტალი დიდ როლს თამაშობდა რუსეთის მსხვილ მრეწველობაში. ინგლისელი კაპიტალისტები რუსეთის მუშების ოფლით აუარებელ სიმდიდრეს და ქონებას იძენდენ.

პროლეტარულმა რევოლიუციამ და მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ მათ ხელი ააღებინა ექსპლოატაციაზე და მოახდინა მათი ქონების ნაციონალიზაცია. ის რაც რუსეთის პროლეტარიატის ოფლით და ენერგიით იყო აშენებული და შექმნილი რევოლიუციამ სამართლიანად დაუბრუნა მას.

ინგლისის იმპერიალიზმი ეცადა შეიარაღებული ძალით, ინტერვენციისა და ბლოკადის საშვალებით დაებრუნებია დაკარგული სიმდიდრე კვლავ დამარცხდა. დღეს მათ ჩვენ გვიცნეს და მშვიდობიანი გზით სცდილობენ დაკარგულის დაბრუნებას. დაახლოებით მათი ანგარიში თერთმეტ მილიარდ მანეთს აღემატება ოქროთი.

ასეთია მათი ანგარიში.

მაგრამ ჩვენც გვაქვს ანგარიშები მათდამი. ინგლისის ინტერვენციონულმა პოლიტიკამ საშინელი ზიანი მიაყენა საბჭოთა რესპუბლიკებს. ვინ მოსთვლის იმ აუარებელ ადამიანთა მსხვერპლს და ქონებრივ ზარალს, რომელიც გაიღეს მუშებმა თავის ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ინგლისის იმპერიალისტებთან.

ამიტომ თუ კი ინგლისის მთავრობა მოითხოვს ჩვენგან, რათა აუნაზღაუროთ ინგლისის კაპიტალისტებს მათი ზარალი, ჩვენც ჩვენი მხრივ წარუყენებთ მას მოთხოვნილებას, რათა აანაზღაუროს ყველა ის დანაკლისი, რომელიც მოგვაყენა ინგლისის იმპერიალიზმის ინტერვენციამ.

ასეთია მოკლეთ ჩვენი თვალსაზრისი ზარალის ანაზღაურების საკითხში.

ამ პოზიციას ჩვენი დელეგაცია არც ერთ შემთხვევაში არ გადაუხვევს.

რადიო-დეპეშები

— დანიამ იცნო იურიდიულად საბჭოთა კავშირი.

— წითელ არმიელთა და მეზღვაურთა კავშირის გასაძლიერებლად მოსახლეობასთან, სახალხო კომისართა საბჭოს ადმინ. საფინანსო კომისიამ საჭიროდ სცნო გაადიდოს წითელ არმიელთათვის ამანათების და წერილების უფასოდ გადაგზავნის ნორმა.

— სპარსეთში დიდი მღელვარებაა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ.

— ლონდონის ტრანსპორტის მუშათა გაფიცვები გავრცელდა ქალაქის სხვა დაწესებულებებშიაც.

ვენის კონფერენციის შესახებ.

საპროტესტო დემონსტრაცია ვენაში.

ვენაში მოხდა საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდენ ათასობით აღმოსავლეთ გალიდან და ბესსარაბიიდან გადახვეწილები. დემონსტრაცია მოხდა პოლონეთ-რუმინეთის ტერორისა და რუმინეთის მიერ ბესსარაბიის დაპყრობის საპროტესტოდ. ორატორები მოითხოვდენ რუმინეთის ჯარების ევაკუაციას ბესსარაბიიდან და პლებისციტს ბესსარაბიის საბჭოთა კავშირთან შეერთების შესახებ. ვენის ბესსარაბიელთა დელეგაციამ გადასცა კრესტინსკის მემორანდუმი, რომელშიაც, საბუთებისა და მოწმეების ჩვენების მიხედვით, აწერილია ტერორის რეჟიმი ბესსარაბიაში. მემორანდუმი მოითხოვს რუმინეთის ჯარების ევაკუაციას ბესსარაბიიდან, პლებისციტსა და—განთავისუფლებას მუშათა, რომლებიც იბრძოდენ თავისუფლებისათვის.

რუმინეთისთვის არა სასურველი პირობები.

რუსეთ-რუმინეთის დელეგაცია ვენის კონფერენციაზე უკვე მივიდა ვენაში და მიღებულ იქნა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ. კონფერენციის პროგრამა ჯერ არ არის დადგენილი. გაზეთი „ადევერალი“ აღნიშნავს, რომ ვენის კონფერენცია იხსნება თავის დროზე სხვა პირობებში, ვინემ გენუას და ლოზანას კონფერენციები, და სახელდობრ, რუმინეთისათვის ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში.

სტინესის გაზეთი ვენის კონფერენციის შესახებ.

სტინესის „დაიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“ წინასწარმეტყველობს საბჭოთა—რუმინეთის კონფერენციის დამარცხებას ვენაში და ურჩევს გერმანეთის მთავრობას გამოვიდეს მოსაშვალეს როლში რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის შორის. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა და რუმინეთმა უნდა გამოარკვიოს, სასურველია თუ არა მათთვის გერმანიის თანამშრომლობა.

საბჭოთა კავშირი.

ჩვენი 7 წლის მუშაობის ჯამი.

ამხ. ზინოვიევის მოხსენება.

ამხ. ზინოვიევმა გააკეთა მოხსენება რკპ-ს მოსკოვის კომიტეტში ჩვენი 7 წლის მუშაობის მიღწევების შესახებ:

„არავითარ სერიოზულ მატერიალურ დათმობებზე ჩვენ არ წავალთ“ ამბობს ამხ. ზინოვიევი.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს. რომ მოლაპარაკება თავის მიზანს მიაღწევს, რადგან ის დაფუძნებულია მხარეთა უფლებების თანასწორობაზე. ამის გარანტიას იძლევა აგრეთვე დღევანდელი რადიო, რომელიც გადმოსცემს ერთ ერთ გაზეთის აზრს. „ინგლისის ფინანსისტები და მრეწველები გამსჭვალული არიან ერთი სურვილით რომ საბ. რუსეთის და ინგლისის კონფერენცია ნაყოფიერად დამთავრდეს და შეიქმნას საფუძველი ნორმალური დამოკიდებულებისათვის ორივე მხარეთა შორის.

—მ.

ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენცია.

საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკის ჯამი გამოიხატება საბჭოთა კავშირის სავსებით ცნობაში. მოლაპარაკება დაიწყება ლონდონში. არავითარ სერიოზულ მატარერიალურ დათმობაზე ჩვენ არ წავალთ.

უმთავრეს საკითხად დაისმება—მეურნეობის საკითხი. ჩვენ გვირდგენენ ანგარიშს, მაგალითად, 11 მილიარდ ოქროს მანეთამდე. ჩვენ წარვადგენთ ჩვენს ანგარიშს. ინგლისის მთავრობამ, რომელიც წარმოადგენს ფორმალურად პროფკავშირთა მთავრობას, არ დაუშვა მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად ინგლისის პროფკავშირთა წარმომადგენლები. საბჭოთა მთავრობამ ჩარიცხა დელეგაციაში პროფკავშირთა ხუთი წარმომადგენელი. მოლაპარაკება იწარმოებს „ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებში.

ფულის რეფორმა.

მეორე მიღწევა ფულის რეფორმაა. დასაწყისი სავსებით დამაკმაყოფილებელია. ჩვენი ჩერვონეცის სიმტკიცე უდრის ინგლისის სტერლინგს და მალე გაუსწორდება ამერიკის დოლარს. ეს ამტკიცებს ჩვენი გამოსვლის დასაწყისს ფართო გზაზე.

პარტიაში ახალ წევრების მიღება.

მესამე მიღწევა პარტიაში ახალ—წევრების მიღებაა. პარტკონფერენციამ დაადგინა მიიღოს პარტიაში 100.000 კ. განცხადება 200.000-ზე მეტია, ამხ. ზინოვიევის აზრით აუცილებელია მიღებულ იქნას 200.000, ვინაიდან მოძრაობა გრძელდება. თუ ჩვენ ვაწარმოებთ მიღებას, შეგვიძლია თამამად და უშიშრად მივიღოდ სამასი ათასამდისაც. ჩვენთან მოდიან დღეს ყველა ჰასაკის მუშები. ვინაიდან ჩვენ გავხდით სახელმწიფო პარტიად, ჩვენ არ წარმოვადგენთ უბრალო პარტიას ამ სიტყვის შაბლონიურ მნიშვნელობით. ჩვენ ვღებულობთ ახალ წევრებს, უპარტიოთა ფართე მონაწილეობით. არავითარ სხვა პარტიას არ შეუძლია გააკეთოს ეს. ყველა პარტიები იბრძვიან იმისათვის, რათა შემოიკრიბონ მეტი წევრები. მხოლოდ კომპარტაი სცდილობს ყავდეს ნაკლები, მაგრამ საიმედო წევრები.

ჩვენი პარტიის ცხოვრება.

ყოველ კომპარტიის ცხოვრებაში განირჩევა ოთხი დრო. პირველი დრო—კომპარტიის წარმოშობა, როდესაც ის ჯერ კიდევ ყალიბდება ჩვენი კომპარტიის წარმოშობის პროცესი დასრულდა 1918 წელში.

მეორე დრო—ეს არის ბრძოლა გავლენის მოსაპოებლად მუშათა უმრავლესობაში (გამოშვებულია). კომპარტია იწყებს ბრძოლას უმრავლესობის მოსაპოებლად.

მესამე დრო არის კომპარტიის მიერ უფლების მოპოება. უფლება ჩვენ მოვიპოვეთ, ვინაიდან ჩვენ გვქონდა გავლენა მუშათა დიდ უმრავლესობაზე. რევოლიუციის მძიმე წუთებში ჩვენ ორგანიზაციაში ითვლებოდა მუშათა უმცირესობა. დაიწყო დიდი გარდამავალი დრო, რომლის განმავლობაში კომპარტიაში შევა ყველა მუშები.

პარტიაში ახალი გაწვევის მნიშვნელობა.

ახალ წევრთა გაწვევა ნიშნავს გარდამავალი დროის დასასრულს და

ეროვნული

მეოთხე დროის დასაწყისს, როდესაც მუშათა კლასი და მუშათა პარტია შეადგენს ერთ შეკავშირებულ მთელს. 3 წლის განმავლობაში ერთ მილიონ ორასი ათასი მუშებისაგან, რომლებიც დღეს იმყოფებიან სამრეწველოებში, ჩვენს რიგებში შევა მილიონი. ასე უნდა შევაფასოთ ლენინის პარტიაში გაწევა. ეს უდიდესი ფაქტი ჩვენი პარტიის მთელი ისტორიისა, უკეთებს ჯამს ყველა ჩვენს ბრძოლებს და საუკეთესო პასუხია დისკუსიის მიერ გამოწვეულ შიშზე.

პარტია მკის იმას, რაც დაუთესია მთელი წლების განმავლობაში.

მოსავლის სიმდიდრე აიხსნება პარტიის ძირითადი პოლიტიკის სისწორით.

დიდი როლი ითამაშა ვლადიმერ ილიჩის სიკვდილმა. მუშები სერიოზულად ჩაფიქრდენ და გაიგეს გადამჭრელი მომენტის დადგომა პარტიისა და საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში. ამან დააჩქარა პარტიაში შესვლის პროცესი.

ახალი პარტიულების აღზრდის აუცილებლობა.

კომპარტიის თვის კეთილ სასურველ და დიდი მოღწევების აღნიშვნის შემდეგ ჩვენ არ უნდა გავამაყდეთ. კომპარტიას წილად ხვდა მადლიანი მუშაობა გამოიყვანოს ახალ, ორასი ათას კომუნისტებისაგან სამუშაოდ გამოსადეგარი პირები. ცეკას პოლიტბიურომ შესაძლებლობა მისცა ახალ გაწყეულებს მიიღონ მონაწილეობა პარტიულ ყრილობის არჩევნებზე, რომელიც მოხდება 20 მაისს. წარმომადგენლობის ნორმა ათასიდან ჩამოყვანილია ხუთასამდე ახალ პარტიულებს შორის მოიპოვებიან ისეთები, რომელთაც შეუძლიათ ნაყოფიერი მუშაობა ყველა დარგებში. უნდა მიეცეს მათ საშვალება გაშალონ შემოქმედებით უნარი. შევძლებთ თუ ჩვენ მუშაობის ჩატარება მასწავლებლის შეძენის საქმეში, რომელიც ახლოსაა მასასთან და გაატარებს მასში კომუნიზმის საწყისს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, და თუ ჩვენ განვთავისუფლდებით არა საიმედო ელემენტებისაგან, მაშინ პარტია იდგომება მტკიცე საფუძველზე.

სსრკ-ს რევსამხსაბჭოს შემადგენლობა.

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სსრკ-ს რევსამხსაბჭოს შემდეგი შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. ტროცკი, თავმჯდომარის მოადგილე—ფრუნზე, წევრები—ბუბნოვი, უნშლიხტი, ვოროშილოვ, ლაშევიჩ, ბუდიონი, მთავარსარდალი—კამენევი, როზენგოლცი, ორჯონიკიძე, ელიავა, მიასნიკოვი, ხიდირალიევ—კარაევ.

ამხ. ლენინის გვამის ხელახალი შემზადება ბალზამით.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ მისი სხეული შემზადილ იქნა ბალზამით, რომლის მიზანი იყო დროებითი შენახვა. დღეს საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების ფართე მასების სურვილის გამო, ლენინის დამკრძალავ კომისიამ გადასწყვიტა ხელახლად შეამზადონ გვამი ბალზამით ხანგრძლივ შესანახავად. შესდგა სპეციალური კომისია, ამხ. ამხ. კრასინის, როზანოვის და ვეისბროდის საერთო მხედველობის ქვეშ.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთი-ერთობის საკითხი.

ჩინეთის მთავრობა სცდილობს თავის მართლებას.

მარშალ უ პეი-ფუმ გაუგზავნა კაბინეტის თავმჯდომარეს მესამე დეპეშა, რომელშიაც სასტიკად აკრიტიკებს მთავრობის უარს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების დამტკიცებაზე.

უ-პეი ფუ აკისრებს საბჭოთა კავშირთან უთანხმოების პასუხისმგებლობას ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და მოითხოვს შეთანხმების საჩქაროდ მოწერას. პეკინის მთავრობა სცდილობს თავის მართლებას და ცირკულიარულ დეპეშაში აღნიშნავს, რომ შეთანხმებაში მიუღებელია 3 მუხლი.

კაბინეტი მოითხოვს საბჭოთა და მონგოლთა ყველა ხელშეკრულებათა გაბათილებას და იმ მუხლის შეცვლას, რომლის მიხედვითაც გადადის საბჭოთა კავშირზე მართლმადიდებელ მისიონერთა ეკლესიის ქონება.

სსრკ ჩინეთის კარგი მეგობარია.

ცხრა საზოგადოებრივ ორგანიზაციის მანიფესტი.

ცხრა საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც მოუწოდებს ჩინეთის მცხოვრებთ გაუწიონ სასტიკი წინააღმდეგობა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომელთა გავლენის გამო მოხდა სსსრ მოლაპარაკების შეწყვეტა და აიძულონ მთავრობა, დაჩქარებით და უსათუოდ იცნას რუსეთი. მანიფესტში ნათქვამია: „სსსრ ერთად-ერთი მეგობარია ჩინეთის. რუსეთის წარმომადგენლის სურვილის უარის ყოფა ჩინეთის მთავრობის მიერ მათ შორის მეგობრულ განწყობილების დამყარების შესახებ, ჩინეთის სახელმწიფოს უსათუოდ მიიყვანს დაღუპვის გზამდე“.

ბესსარაბიის საკითხი

პუანკარე და ჩიჩერინი საფრანგეთის მიერ ბესარაბიის დაპყრობის რატიფიკაციის შესახებ.

დეპეშაში ჩიჩერინისადმი, პუანკარე აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პარლამენტის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციამ, რომელსაც ხელი მოაწერა 1918 წელში ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და რუმინეთმა, რაც სცნობდა რუმინეთის სუვერენიტეტს ბესსარაბიაზე, გამოიწვია პროტესტი საბჭოთა მთავრობის მხრივ. პუანკარე მოაგონებს, რომ მოკავშირე სახელმწიფოები დათანხმდენ იმაზე, რომ ისტორიული ტრადიცია, ეტნოგრაფიული და ეკონომიური მდგომარეობა ბესსარაბიისა და მისი მცხოვრებლებისა გამოთქმული სურვილი ნათლად გვიჩვენებს ბესსარაბიის რუმინეთზე შეერთების აუცილებლობას. საფრანგეთის პარლამენტი ხელმძღვანელობდა იმავე მოტივებით, რომელთა მიხედვითაც ინგლისის პარლამენტმა რატიფიკაცია უყო 1922 წლის ხელშეკრულებას, რომელმაც ვერ შეუშალა ხელი საფრანგეთისა და ინგლისს შორის კეთილ განწყობილების დამყარებაში.

საფრანგეთის მთავრობა ფიქრობს რომ ხელშეკრულებას არ დაურღვევია ბესსარაბიის მცხოვრებთა უფლებები, ვინაიდან მოკავშირე მთავრობებმა იცნეს რუმინეთის სუვერენიტეტი ბესსარაბიაზე, მხოლოდ ბესსარაბიის ნაციონალურ კრების—„სფატულ ცერიი“-ს დადგენილების შემდეგ, 1918 წლის 18 მარტიდან ბესსარაბიის რუმინეთთან შეერთების შესახებ.

პუანკარე აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების მე-9-ე მუხლი ითვალისწინებს რუსეთის მოწვევას—შეუერთდეს ხელშეკრულებას, ამიტომ მდგომარეობა შეიძლება გამოსწორებულ იქნას ბესსარაბიის საკითხში თანახმად ერთა თვით გამორკვევისა პრინციპისა, როგორც ეს მოხდა რუსეთ-დასავლეთის საზღვარზე, ახალ წარმოშობილ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებების საკითხში.

სიმართლე რუმინეთის მიერ ბესსარაბის დაპყრობის შესახებ.

საპასუხო დეპეშაში ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ კენჭის ყრა, ეგრეთ წოდებულ ნაციონალურ კრების—„სფატულ ცერიისა“ იყო თავხედური სიყალბე. რუმინეთის ხელისუფლებმა შეავსეს არჩეულ დელეგატების შემადგენლობა თავიანთი კანდიდატებით, ამგვარად შეადგინეს იქ უმრავლესობა. „სფატულ ცერის“ მრავალი გამოჩენილი პირი დახვრეტილ იქნა რუმინელების მიერ, რადგანაც ისინი წინ აღუდგენ ანექსიას და თვით ხმის მიცემა სწარმოებდა რუმინეთის ჟანდარმების თანდასწრებით, აშკარა მუქარის გავლენის ქვეშ. და მაინც, 27 მარტის ოქმში ნათქვამი იყო არა ბესარაბიის შეერთებაზე რუმინეთთან, არამედ ფართე ავტონომიაზე, რომელიც ენიჭებოდა ბესარაბიას. 25 ნოემბერს, მოულოდნელად, ღამით „სფატულ ცერიის“ წევრთა მეოთხედი ნაწილის თანდასწრებით, შეტანილ იქნა წინადადება ბესარაბიის რუმინეთზე სრული შეერთების შესახებ, რაც მიღებულ იქნა უბრალო განცხადების გზით, კენჭის უყრელად. ამ სიყალბის წინააღმდეგ პროტესტებს ხელი მოაწერა „სტაფულ ცერიის“ მუნიციპალიტეტთა და გლეხთა კავშირის დეპუტატების მთელ რიგმა.

რუმინეთის ხელისუფალთა ეს მოქმედებანი ნების უმაგალითო დარღვევა ბესარაბიის მცხოვრებთა, რომელიც მიიღეს იმათ რუმინეთის ოკუპანტების უხეში ძალმომრეობით. დამტკიცა რა ხელშეკრულება ბესარაბიის შერთების შესახებ რუმინეთთან, საფრანგეთის პარლამენტი თავს იდებს ყველა აქედან გამომდინარე შედეგებს.

უმაგალითო რეპრესიები ბესარაბიაში.

კრინედსტროვსკის ქალაქებში ყოველდღიურად მოდიან ბესარაბიიდან გამოქცეულები, რომლებიც აღნიშნავენ, ბესარაბიაში რეპრესიების განსაკუთრებით გაძლიერებას. რუმინეთის ციხეები სავსეა, სწარმოებს გაძლიერებული დაპატიმრება. აჯანყების შიშით ბესარაბიაში, რუმინეთის ხელისუფლებას გადაჰყავს პატიმრები ბესარაბიის ციხეებიდან ქვეყნის შუა ადგილებში. რუმინეთის ჯარების კონცენტრაცია ბესარაბიაში გრძელდება. არა მარტო რუსულ, არამედ რუმინეთის პრესაზედაც არსებობს სასტიკი ცენზურა. დუნაის ვილკოვის ტოტში სასწრაფოდ აწყობენ მინებს, რის გამოც გემები იმოგზაურებენ მხოლოდ სულიმის არხში.

მღელვარება სპარსეთში

ორგანიზაციული დემონსტრაცია.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა ცირკულიარი პოლიტიკურ საკითხების თავისუფლად გარჩევის შესახებ, სადაც კატეგორიულად ეკრძალება უცხოელებს ჩაერიონ ქვეყნის შინაურ საქმეებში, გადასახლების მუქარის ქვეშ. მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა, რომელიც მოხდა შახის ჯამეში, დაადგინა მოაწყოს დემონსტრაცია მეჯლისის მიერ სახელმწიფო წყობილების საკითხის გარჩევის დღეს. დემონსტრაცია დანიშნული იყო მეჯლისის შენობის წინ. დემონსტრანტებმა უნდა მოითხოვონ რესპუბლიკა თავისუფლად შედგენილ დამფუძნებელი კრებით.

ხალხის ნებასურვილების უხეშად ჩახშობა.

22 მარტს, დღის ოთხ საათზე, მეჯლისის გახსნის დროს, მრავალ რიცხოვანმა ბრბომ დაიკავა მოედანი და ქუჩები მეჯლისის მახლობლად. დემონსტრანტები მიდიოდენ ჭეშმარიტ თავისუფლების დამფუძნებელი კრების და რესპუბლიკის აღიარების მოთხოვნილებით. მიუხედავად ყაზახთა და მცველების წინააღმდეგობისა, ბრბო შეიჭრა მეჯლისის კარებში. მთავრობის ფრაქციის ლიდერმა აცნობა პრემიერს, რომ შეუძლებელია სხდომის გახსნა აღელვებული ბრბოს თანდასწრებით.

5 საათზე მეჯლისთან მოვიდა რამოდენიმე ასეული ყაზახი და პოლიციელი. ამავე დროს გამოჩნდა პრემიერი რაზა ხანი, რომლის განკარგულებით ყაზახებმა დაკეტეს მეჯლისის ეზოს კარები და დაიწყეს დემონსტრანტების სათითაოდ ცემა, იმავე დროს ყაზახთა რაზმებმა მოედანზე მყოფ დემონსტრანტებს დაუწყეს ცემა. ხალხმა დაიწყო ქვების სროლა. ორი ქვა მოხვდა პრემიერს, რომელმაც ამოიღო ხმალი და დაიწყო გზის წმენდა მეჯლისაკენ. პრემიერის მაგალითს მიჰბაძეს სხვა ოფიცრებმაც. მეჯლისის შენობაში, მეჯლისის თავმჯდომარემ სასტიკი ფორმით მოითხოვა პრემიერისაგან ცემის შეწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაემუქრა მეჯლისის ვოტუმით მთავრობის გადაყენების და პრემიერის თანამდებობიდან მოხსნის შესახებ. ცემა შეწყვეტილ იქნა.

გახსნილ კრებაზე მეჯლისმა, გამწვავებულ მდგომარეობის გამო, ერთხმად დაადგინა შეწყვეტილ იქნას სხდომა 4 დღით. ღამით მეჯლისი გარშემორტყმული იქნა ყაზახთა გაძლიერებული რაზმებით, მაგრამ მოედანი მაინც სავსე იყო ხალხით.

23 მარტს, ცემის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაიხურა მთელი ბაზარი. რეაქცია სცდილობს გამოიყენოს მასების განწყობილება სამხედრო პირების საწინააღმდეგოდ და ჩაიგდოს რესპუბლიკანური მოძრაობა თავის ხელში, რათა დღევანდელი შახის ადგილას დააყენოს მეორე. ხმებია, რომ პრემიერის მახლობელ პირებში სწარმოებს პროპაგანდა სასწრაფო გადატრიალების სასარგებლოდ.

ზოგიერთი ფაქტები და მოგონებანი გურიის რევოლუციონურ მოძრაობიდან.

(გაგრძელება)

ყველაზე მეტი მტერი იმ დროს გურიაში, გლეხთა მოძრაობის სამღვდელოება იყო, და ამ ფულზე გლეხობამ უარი უთხრა, ეს პუნქტი სამოქმედო პროგრამის ერთი მთავარი მოთხოვნილება იყო, რამაც სამღვდელოება მეტად გააბრაზა. მაგრამ გურიის მოძრაობამ ისეთი ფართე ხასიათი მიიღო, რომ 1905 წ. უკვე მოხელეობას აშკარა მოწინააღმდეგეც აღარ ყავდა, პოლიცია განმარტოვდა, მათ საქმე აღარ ჰქონდათ ძალაუფლება ასისა და ათის თავების ხელში გადავიდა. სამართლისათვის ხალხი ასის თავს და ახალთაობის კაცს მიმართავდა. გურიაში ბოიკოტი ფართოთ შემოვიდა ხმარებაში. ბოიკოტს აწარმოებდენ არა მარტო მთავრობის წინააღმდეგ, არამედ იმათ წინააღმდეგაც ვინც არ სწორდებოდა და ახალ თაობას არ თანაუგრძნობდა ან და თუ ვინმე რაიმე სისხლის სამართლის საქმეს ჩაიდენდა.

1905 წ. ზაფხულში გურიაში უკვე სახალხო მილიცია იყო. ფაქტიურად იარაღის თავისუფლად ტარების ნება იყო და მთავრობის მოხელენი ვეღარ ბედავდენ გავრცელებას თვითმპყრობელობის კანონების. ფაქტიურათ გურიის ხალხი თვითონ იყო თავის მხარის მმართველი. მეფის მოადგილე, გრაფ ვარანცოვ დაშკოვი დარწმუნდა, რომ გურიაში რეპრესიებით ვერაფერს ვერ გახდებოდა, მაშინ მან ლიბერალი ღენერალი კრიმგირეი გამოგზავნა გურიაში. გურიის ხელმძღვანელებმა ეს მომენტი სააგიტაციოთ გამოიყენეს და ღენერალ კრიმგირეის ჩამოსვლით გურიაში ისარგებლეს, მით რომ ჩატარებულ იქნა პოლიტიკური კომპანია, სოფლის დეპუტატების წარდგენით კრიმგირეისთან.

გურიის ყველა პროპაგანდისტები და აგიტატორები განაწილებულ იქნა საზოგადოებაში, კრიმგირეი ნახულობდა ყველა საზოგადოებას, თავს უყრიდა მიტინგს და ხალხს სთხოვდა თავისუფლად ეთქვათ თუ რა სურდათ, რომ მეფის მოადგილეს ეს დაეკმაყოფილებია. ყველაფერი წინდაწინ მომზადებული იყო. გლეხებში ერიენ თითო-ოროლა პროგრამის კარგათ მცოდნეები უპასუხებდენ აგრეთვე თვით გლეხები თავიანთ ჭირვარამს მოყვებოდენ ხოლმე. როცა გლეხობამ ყოველგან ერთნაირად უპასუხა მაშინ დარწმუნდა კრიმგირეი, რომ გურიის მოძრაობა არ იყო შემთხვევითი და მას ღრმა მიზეზებში ჰქონდა ცხოვრებაში. პირველად კრიმგირეი სცდილობდა გამტყუნებია მხოლოდ ადმინისტრაცია, ერთ საზოგადოებაში ასეთ კურიოზს ჰქონდა ადგილი: როდესაც გლეხმა დეპუტატმა უთხრა ჩვენ სამართალი არ გვაქვსო, კრიმგირეიმ უპასუხა: თქვენი მოსამართლე არ ვარგებულა და მას გამოვცვლით. არა ბატონო მოსამართლე მეტად კარგი კაცია, მაგრამ ის კანონი არ ვარგა, რომლითაც ის მოქმედობსო. კრიმგირეის რამოდენიმე საზოგადოება დაუვლელი დარჩა, რადგან მიიღო განკარგულება დაბრუნებულიყო, გაზეთებმა აშკარათ დასწერეს დეპუტატების მოთხოვნილება, რომელიც ამბობდა დღევანდელ მთავრობას არ შეუძლია ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და უნდა მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრებაო. ამის შემდეგ მეფის მოადგილისათვის აშკარა იყო, რომ გურიას მათრახი და საშინელი რეპრესიები დააწყნარებდა, რომელიც შემდეგ პოლკოვნიკმა კრილოვმა განახორციელა.

თენგიზ ქლენტი.

ჩვენს წითელ ჯარში

პირველ ლეგიონში.

პირველ ლეგიონის საკავშირო გუნდში, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ შეგნებული და განვითარებული წითელი არმიელები არიან. უმრავლესობა წითელი არმიელებისა საშუალო სასწავლებლებიდან არიან. მათ კარგათ აქვთ შეგნებული თავიანთი მოვალეობა. „მ. ი.“ წერილი ამ გუნდის შესახებ, თითქოს გუნდის უფროს წითელი არმიელები „,დენშიკობას‘‘ უწევდენ სიმართლეს მოკლებულია. რაც შეეხება ჩაგანავას ბავშვს, უნდა ითქვას, ეს ყმაწვილი მეტად ცუღლუტი და ცელქი გამოდგა. გუნდის უფროსი და პოლიტხელი ღებულობენ ზომებს, რომ ეს ბავშვი რაიმე ნაირად გამოასწორონ და კარგ გზაზე დააყენონ, რომ მომავალში ის ნამდვილი მშრომელთა მემკვიდრეთ გამოდგეს. რაც შეეხება იმას, თითქოს ჩვენს გუნდში „,დენშიკობას‘‘ ქონდეს ადგილი,—ეს მართალი არ არის. ჩვენს წ. ა. იმდენად შეგნებული აქვთ თავიანთი მოვალეობა, რომ ამის უფლებას არავის მისცემენ.

საკავშირო გუნდის წ. მ. დავალებით **ტალღა.**

მე-3 მე ლეგიონში.

მე-3-მე ლეგიონში შესდგა უფ და პოლიტ შემადგენლობის გაერთიანებული კრება, სადაც დასმული იყო საკითხი კოოპერატივიდგან სამ თვიანი კრედიტის მიცემის და მისი ტეხნიკურათ მოგვარების შესახებ. მომხსენებლათ გამოვიდა სამკომი ამხ. ვ. ჯანგველაძე და კოპერატივის გამგე ამხ. ამბაკო ქარქაშაძე, რომლებმაც აღნიშნეს დაბმარკოლებელი მიზეზები ამ საქმეში. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ დადგენილი იქმნა სამ თვიანი კრედიტის გახსნა კოოპერატივიდგან, მხოლოთ იმ პირობით თუ კი ლეგიონის უფ და პოლიტ შემადგენლობა დასდებენ კოლექტიურ ხელშეკრულებას და თუ კი ვინმე გამოაკლდება ლეგიონს რაიმე მიზეზით და მას არ შეეძლება კოპერატივის ვალის გადახდა იმ შემთხვევაში ეს ვალი უნდა გადაუხადოს კოოპერატივს ლეგიონის უფ პოლიტ შემადგენლობამ. კრება დასთანხმდა ამ პირობებს, რის შემდეგ ის დაიხურა.

შრომისშვილი.

ზეიმი ცენტრალურ კლუბში.

ორშაბათს, 24 მარტს მოხდა საზეიმო გახსნა ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალური (ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის) კლუბისა. (რუსთაველის პრ. ყოფილი „პატარა თეატრი“.

კლუბის, როგორც დარბაზი, ისე ფოიე გაჭედილია თბილისში მყოფ ქ. ჯარების ნაწილებით და მუშებით, კერძო მოქალაქეებით.

იხდება ფარდა, და... სცენას ამშვენებს წითელი დროშა, კომუნიზმის ბელადთა სურათებით.

სიტყვა ეძლევა ალ. მამულაშვილს, რომელიც თავის მოკლე სიტყვაში შლის სურათებს საკლუბო მუშაობისას, რომელშიაც ცენტრალურ კლუბს პირველი ადგილი ეჭირა და შემდეგშიც უნდა დაიჭიროს, რომ წითელი კლუბი არის სკოლა ჩვენი წითელ არმიელებისა, სადაც მათ შეიძინეს კულტურული ცოდნა და შემდეგშიც შეიძენენ. და რომ ჩვენი კლუბი არის ჩირაღდანი, რომელიც ეფინება ქ. მ. დივიზიას თავის ცხოველმყოფელი სინათლით.

პოლიტ-განყოფილების სახელით ესალმება შ. თალაკვაძე მოხდენილი სიტყვით.

ა. ი. სუმბათაშვილი—იუჟინის სახელობის დრამატიულ სტუდიიდან ესალმება (რუსულად). ამხ. ედიგაროვი და პირდება ჩვენს კლუბს სტუდიით დახმარებას, როდესაც-კი საჭირო იქნება.

კომუნისტურ ნათლობაზე სიტყვას ამბობს ამხ. ელისაბედაშვილი.

ცენტრალურ კლუბის საპატიო წევრებად ირჩევიან დამსწრეთ მიერ: ამხ. ამხ. ტროცკი, ორჯონიკიძე, ეგოროვი, თ. ჟღენტი, ლექვთაძე, არომელაძე, ა. კვირიკაძე და მ. ცხაკაია, ლ. სუხიშვილი, მამ. ორახელაშვილი, რ. კალაძე.

მეორე განყოფილებაში გაიმართა კომუნისტური ნათლობა.

სცენაზეა „ზაკსის“ რწმუნებული, საღამოს პრეზიდიუმი, ბავშვები და მშობლები. ყველაფერი წესი სრულდება.

მოინათლენ შემდეგი ბავშვები. 1. ალ. მამულაშვილისა (მდედრობითი სქესის). ნათლიები: ბერიძე და კობიძე. სახელად ეწოდა **ეთერი**. კობიძე ბავშს ეუბნება სიტყვას, ბავში სდგას, როგორც ნაზი ეთერი და იმენს... 2. გ. კობიძის (მამრობითი სქესის) ნათლია ქართული დივიზია, რწმუნებულნი: თ. ჟღენტი და ლექვთაძე. ბავშვს დაერქვა **მარლენ**. (შემოკლებით მარქსი და ლენინი). 3. ვალ. მამულაშვილისა (მდედრობითი სქესის). ნათლიებია: ართმელაძე და სიჭინავა. სახელად ეწოდა: **ნათელა**. 4. გ. გოძიაშვილისა (მამობრივი სქესის). ნათლიები: ალ. მამულაშვილი და შ. თალაკვაძე. სახელად ეწოდა: **რევოს**. (რომელიც წარმომდგარია სიტყვა რევოლიუციიდან).

როგორც მშობელთა, ისე ყველა დამსწრეთა მოღიმარე სახეებზე ჰკითხულობ ახალი წესის მოწონებას და ქებას.

მესამე განყოფილებაში კლუბთან ახლად დაარსებულ მომღერალთა გუნდმა (პატარა ბავშებთან ერთად.) ამხ. ხატიაშვილის ლოტბარობით შეასრულეს 1 მარში „მოკვდა ლენინი“ (სიტყვები გ. ციმბირელისა, მუსიკა ხატიაშვილისა), 2. ინტერნაციონალი, 3. „მესტვირული“—სულხანიშვილისა, 4. „ძლევის სიმღერა“--ფოცხვერაშვილისა და 5. „სამშობლო ხევსურისა“—სულხანიშვილის. (სიტყვები რ. ერისთავის).

მეოთხე განყოფილებაში დაიდგა ს. ერლის ანტირელიგიური პიესა „სულის მამა“, რომელშიაც ბევრი აცინა დამსწრეები ე. ხუციშვილმა (მღვდელი).

მეხუთე განყოფილებაში წითელ ჯარების კულტშეფმა „რაბისმა“ (განათლების მუშაკთა კავშირმა) გამართა კონცერტი, სადაც მონაწილეობდენ ლენინის სახელობის ოპერის თეატრის მსახიობნი. მომღერალნი ექსანიშვილი, აბაშიძე, კაშაქაშვილი, რუდენკო, ზაკალოვი და ალბერტი (ამერიკული ცეკვა) და მოსკოვის აკადემიურ თეატრის მსახიობნი: კლემენტიევი და ბლოხინა.

დასასრულ ფოიეში გაიმართა აზიური და ევროპიული ცეკვა.

საღამო გაგრძელდა პირველ საათამდის და კმაყოფილი დამსწრენი დაიშალნენ, რომელთაც თან გაჰყვათ არაჩვეულებრივი მხიარული შთაბეჭდილებანი ნახულის.

სანი.

პატარა ფელეტონი

თედოს სიზმარი.

წითელ-არმიელი თედო ქიტესაშვილი საღამო ხანს, მეცადინეობის შემდეგ, ყაზარმაში წამოწოლილი ისვენებდა და ფიქრებმა გაიტაცეს. აჰა რამდენიმე დღე დარჩა და თედო სოფელში გაუტევს. ერთი წელიწადია რაც იგი ლეგიონშია, და რა დიდი განსხვავებაა ეხლანდელ და უწინდელ თედოს შორის! იქ სოფელში თედოს მოჯამაგირეობაში ამოსდიოდა სული და მისი ცხოვრება ღვინია ხარებსა და დარბაისელ ნიკორა კამეჩების „საზოგადოებაში“ მიმდინარეობდა. მიწა მას არ ებადა და ვენახი. და ასე მოჯამაგირეობაში ამოხდებოდა სული, რომ რევოლიუციას არ წამოესწრო, უკანასკნელ ხანში მემამულეებს მიწები, რომ ჩამოართვეს, მას წილად ხვდა ისეთი ნაფუზარი, რომ მთელ სოფელს ზედა რჩებოდა თვალი.

—სამართალიც აი, ასეთი უნდა! ამბობდა ალმასკომის თავმჯდომარე. ალალია შენზედ: არაფერი გქონდა და კარგი მიწა გერგო. აბა, შენ იცი და შენმა კაცობამ როგორც მოუვლი.

თედო სიხარულით და მუყაითად შეუდგა მიწის დამუშავებას და ერთ დღიური მიწა ხილის ბაღათ აქცია ნამყენი ხეხილებით. სწორედ ამ დროს გაიწვიეს წითელ-არმიაში. წამოსვლის დროს დედასა და უმცროს ძმებს სიტყვა დაუტოვა კარგათ მოევლოთ ნამყენებისათვის. ლეგიონში პირველ ხანობაში სულ ნამყენები ელანდებოდა, შემდეგ კი ჩაება სამხედრო ცხოვრებაში და მისთვის საძნელო არ იყო რა. მოჯამაგირეობაში აბა, სწავლისთვის ვინ აცლიდა დროს, აქ კი მოკლე ხანში შეასწავლეს წერა-კითხვა და ეხლა ისე აბულბულებს გაზეთებსა და წიგნებს, როგორც ნაოხარის დიაკვანი ტვლეპია „დავითნს“. ამას გარდა აქ მან გაიგო ქვეყნიერობის ავ-კარგი და ამ მოკლე ხანში მან იმდენი რამე შეისწავლა, რაც სოფელში სიზმარშიც არ მოელანდებოდა. თედო სამსახურში ნიჭიერი და მარიფათიანი გამოდგა და ეხლა იგი ათის-თავია. უწინ მობუზული ქათამივით დადიოდა და ეხლა კი ულვაშ-აწკეპილი, გულ მკერდ გაშლილი, კოხტა-შტრინკა ბიჭად გამოიყურება. სოფელში რომ გაივლის, გოგოები, უეჭველია, თვალებს გააყოლებენ.

ამ ფიქრებში გართულ თედოს წაეძინა. აგერ, ჰხედავს სიზმარში თედო, იგი მიდის სოფელში აცილებენ მუსიკით. სიტყვებით. ჯერ მატარებელში ამხანაგებთან ერთად და შემდეგ სადგურიდან ფეხით მიდის სოფელში. ცა ქუდათ არ მიაჩნია და დედა-მიწა ქალამნად. ირგვლივ მწვანე ხავერდით აზვირთებულა ველმინდორი, ფრინველთა გამაბრუებელი ქივილ-ხივილი არღვევს თავის სიდიადეში გაშტერებულ ბუნების დუმილს. მიჰქროლავს თედო ფრთებ შესხმული, მიჰღიღინებს. უახლოვდება სოფლის განაპირა ბნელ ორღობეს აქ თედოს გულმა საამურად დაუწყო ძგერა. აგერ მოსჩანს მისი შრომით, მისი შრომით, მისი ოფლით გაშენებული ხილის ბაღი. „შენი ჭირიმე! რამდენს უხარნია! ყოჩაღ დედილოჯან, კარგად მოგივლია‘‘ უხარიან თედოს გულში. მაგრამ ამ დროს ღობეს სამი მილიციონერები თოფებით წამოადგა თავზედ.

—შენ ეი, დეზერტირო! აქედ გამობრძანდი.

— რის დეზერტირი? სამსახური გავათავე და სახლში მოვედი,—მაგრად დახვდა თედო.

—შენ ბევრსა ლაპარაკობ. აბა გვაჩვენე შენი ქაღალდი.

—თქვე კაი ხალხო! ეხლა ვინ გაიგონა დეზერტირობა! აი ამ საათში, დასწყევლოს ეშმაკმა! რა მექნა?.. აი ამ უბეში... არა ამ ჯიბეში... იქექდა თედო ჯიბეებსა და უბეებს, მაგრამ ქაღალდს ვერა პოულობდა.

— წამოაბრძანდი მილიციაში; წინადადება მისცეს მას.

— ეს არის ეხლა გამიშვეს სამსახურიდან. მუზიკითა და სხვა... რას ამბობ კაცო?!.

— ძალიან ბევრი ლაპარაკი შეგისწავლია! აბა თუ დაგითხოვეს გადახტი ღობეზედ... თუ გადაახტები გაგანთავისუფლებთ, თუ არა და უკაცრავად.

თედომ გადაჰხედა ღობეს და გაეცინა. ლეგიონშიის პირველია გადახტომაში და რა ღმერთი გაუწყრება აქ. დაიხია უკან, მთელი ძალ-ღონე მოიკრიფა, ისკუპა და ჩატივით გადაეშვა ღობეზედ...

— რა დაგემართა თედო?—ხარხარებდენ თედოს გარშემო წითელ არმიელები, როდესაც მძინარე თედომ ისკუპა და ერთ საჟენის სიმაღლეზედ ახტა საწოლიდან და ძირს გაიშხლართა. თედო როცა გონს მოვიდა უამბო თავისი სიზმარი, წითელ-არმიელები ხარხარებდენ.

— იცი, რა გითხრა თედო: როცა დაიძინებ შვებულების ბილეთი ჩაიდე ხოლმე უბეში და სიზმარში მილიციონერები ღობეზედ აღარ გახტუნებენ. იოხუნჯა ათის თავმა წყობილაძემ.

გოჩმანი.

ახალი ამბები

— **რკ. გზა ჩოხატაურამდე.** საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით რკ. გზის ხაზი გაგრძელებულ იქნება ოზურგეთიდან ჩოხატაურამდე.

— **„წით. დროშის“ ორდენით დაჯილდოება.** საქ. ცაკმა წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა სამოსწავლო ათასეულის პოლიტხელი ბიქტორ კაჭარავა, ბანდიტებთან ბრძოლაში გამოჩენილ გმირობის გამო.

— **ლოტოს და რულეტკის აკრძალვა.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა განკარგულება გასცა, რათა ყველა კლუბებში და კაზინოებში აკრძალულ იქნას ლოტოს და რულეტკას თამაში.

— **ქიათურის აეროდრომი.** შორაპნის მაზრის ალმასკომის დადგენილებით ქ. ქიათურის აეროდრომი მოეწყობა სოფელ პერევისაში.

— **ინვალიდთა დამხმარე კომიტეტი.** საქ. ცაკმა საჭიროდ სცნო ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის დაარსება. ამ მიზნით დაარსებულ იქნა განსაკუთრებული კომისია.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 24 მარტს შრომის ბირჟაზე გამოცხადდა 119 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა 37-

— **ბიბლიოთეკების გაწმენდა.** პოლიტ-განათლების კოლეგიამ დაამტკიცა სკოლის გარეშე განათლების სახლის ინსტრუქცია ბიბლიოთეკებიდან უვარგის წიგნების წაღების შესახებ.

შემთხვევები.

— **გვამის პოვნა.** 23 მარტს თფილისის მახლობლათ იპოვნეს ქალის გვამი. სახით ჰგავს რუსს. ვინაობა გამოურკვეველია.

— **ბინის გაქურდვა.** 22 მარტს ალექსეევის ქ. № 12 გაქურდეს ლოლობერიძის ბინა. წაიღეს 138 მან. ნივთები.

— **საქსოვი მანქანის მოპარვა.** 23 მარტს მოქ. კიაკოზოვს მოჰპარეს საქსოვი მანქანა.

ხელოვნება.

— **ჯამაგირების მომატება.** მთავარმა სახელ. კომიტეტმა დაადგინა მოემატოს ჯამაგირები ქართული დრამის თანამშრომლებს (სტატისტებს).

— **„წითელი თეატრი“** 1-ლი მაისიდან სახალხო სახლში გაუქმებულ იქნება რუსული დრამა და მის მაგიერ გაიხსნება „წითელი თეატრი“ პროლეტკულტის ხელმძღვანელობით

— **კინო-ვაგონი.** ა. კ. რკ. გზელთა პროფკავშირმა მოაწყო კინოვაგონი, რომლის საშუალებითაც სურათებს უჩვენებენ მუშა-მოსამსახურეთ მივარდნილ ადგილებში.

პასუხის პასუხი სარედაქციო კოლეგიას.

როდესაც „წითელ-არმიელში“ სარედაქციო კოლეგიის საყურადღებოთ ქართული სამხედრო ტერმინალოგის შესახებ წერილს ვათავსებდი, სრულებით არ მქონდა სახეში კერძოთ ვინმესათვის მესაყვედურება დანაშაული, სამხედრო ტერმინილოგიის და საზოგადოთ ქართული ენის უცოდინარობაში.

მაგრამ ჩემდა სავალალოთ სარედაქციო კოლეგიას მე პირადათ ნიშანში ამოუღივარ, მოხთენილათ მათრახსაც მკრავს და მეუბნება როგორ გაბედე შენ გობრონიძევ ქართული სამხედრო ტერმინილოგიის შესახებ მსჯელობა, როდესაც ეს ჩვენ მონოპოლიას შეადგენს, მით უმეტეს შენ თვით არ იცი არც სამხედრო ტერმინოლოგია და არც საზოგადოთ ქართული ენა და მისი მართლ წერა.

აბა სხვანაირად როგორ შეიძლება კაცმა ახსნას ის „კითხვითი“ ნიშნები და იქვე მისი შესწორებანი რომლებიც თან ახლავს ზოგიერთ ჩემს წინა წერილიდან ამოღებულ და პასუხში გამეორებულ სიტყვებს.

ამით ალბათ ავტორს „პასუხისას“ უნდა ხაზ გასმით ემცნო მკითხველებისათვის: შეხედეთ ამხ. გობრონიძემ ქართული მართლ წერა არ იცის და იმავე დროს ის ბედავს კიდევ ქართულ ტერმინოლოგიაზე ბაასსო.

თქვენს პასუხში მხოლოდ ჩემი წერილის ორფოგრაფიულ შეცდომებზე ლაპარაკი. მოსალოდნელი იყო კი წერილის არსებითი განხილვა.

გად კიდევ საკითხის არსებითად განხილვაზე კოლეგია გვეუბნება, ჯერჯერობით ჩვენ უნდა შევქმნათ სამხედრო ლიტერატურა, შიგ ნახმარი ტერმინები ხმარების დროს კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ და ბოლოს შემოვიღოთ ერთგვარი ტერმინები.

კარგი და პატიოსანი. „თუ გინდ ასედაც იყოს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯარის ნაციონალიზაცია მოხდა, რაც პირველათ ქართულ ენაზე წესდებები დაიბეჭდა, არ გასულა საკმაო დრო რომ ტერმინები „კრიტიკის ქარცეცხლში გატარებულიყო?“.

რასაკვირველია საკმაო დრო გავიდა, მაგრამ არავის (აქ მე მხედველობაში მარტო არსებული სარედაქციო კოლეგია არ მყავს) არაფერი არ გაუკეთებია იმისათვის, რომ ხმარებული ტერმინოლოგია „კრიტიკის“ ქარცეცხლში გაეტარებია. ეს ასე იყო და ეს რომ მართალია აქვე დაგიმტკიცებთ.

როგორც საპასუხო წერილიდან სჩანს სარედაქციო კოლეგიის არსებული, ლადო ცაგარელის ლექსიკონი შეუვსია და პროფესორთა საბჭოსათვის გადაუცია განსახილველათ.

განა ამის შესახებ ვინმემ იცოდა რამე? იცოდა ვინმემ რომ კოლეგიის განზრახული ქონდა ლექსიკონის შევსება, რომ უკანასკნელს საშვალება ქონოდა თავისი წვლილი შეეტანა ამ ლექსიკონის შევსებაში?

იყო თუ არა ეს საკითხი საჯაროთ დასმული? იყო თუ არა მიპატიჟებული ამხანაგები ნაწილებიდან მონაწილეობის მისაღებათ? არა. მაშ რომელ კრიტიკის ქარცეცხლზე ლაპარაკობს კოლეგია?

საჭირო იყო, რომ კოლეგიას ეს საკითხი ნაწილებიდან ამხანაგების დახმარებით შეემუშავებია, „კრიტიკის ქარცეცხლში“ გაეტარებია და შემდეგ პროფესორთა საბჭოსათვის გადაეცა განსახილველათ.

მეორე: სამხედრო ლიტერატურაში ტერმინოლოგიის მხრივ უწესრიგობით კი არ სუფევს და მისგან კი არ არის გამოწვეული ტერმინების სხვა და სხვაობა, არამედ სამხედრო ლიტერატურა გამოიცა სარედაქციო კოლეგიის დაარსებამდეო.

განა ასეთი კოლეგია არ არსებობდა წინათ? შეიძლება მას სხვა სახელი ერქვა მაგრამ არსებითად ერთი და იგივე არ იყო?

განა ასეთ კომისიებში თუ კოლეგიებში თვით ლადო ცაგარელი არ იღებდა მხურვალე მონაწილეობას?

თუ ეს ასე იყო, მაშ შესაძლებელი ყოფილა ერთგვარი ტერმინების შემუშავება, მაგრამ თუ კი რამ თვითეული კომისია თუ კოლეგია „თავისებურათ“ შესცვლის ან უარყოფს „ძველის“ დებულებას, მაშინ აირევა მონასტერი.

ეს ასედაც მოხდა. ახალმა კოლეგიამ „უარყო ძველი ტერმინები“ და ჩვენ ამიტომ ვამბობთ, რომ სამხედრო ლიტერატურაში ტერმინების მხრივ უწესრიგობა სუფევსო.

„პასუხის“ დასასრულში კოლეგია მოგვიწოდებს მივაწოდოთ მას ყველა ის „მასალა“ რომელიც მათ გამოადგებათ ქართულ ტერმინოლოგიის შესამუშავებლათ.

ეს შესაძლებელია, მაგრამ გვეშინის სულმობელ „კრიტიკის ქარცეცხლისა“, რომელიც ასე გაფაციცებით დაეძებს ორთოგრაფიულ თუ კორექტორულ შეცდომებს.

ეს ასედაც რომ არ იყოს, ახლა უკვე გვიანია კოლეგიას უკვე შეუვსია ლექსიკონი „კაბინეთში“ და გადაუცია პროფესორთა საბჭოსათვის გასასინჯავათ.

სიკვდილის შემდეგ სინანული გვიანია.

მ. გობრონიძე.

ს. ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ საშეფო კომისიის ცირკულიარი.

№ 1066.

22 მარტის 1924 წ. ქ. თბილისი.

სხვა და სხვა საშეფო ორგანიზაციებს და არმიის პოლიტორგანოებს არა ერთს მოუმართავთ როგორც შეფებისთვის, აგრეთვე ნაწილებისათვის, შეფს და ნაწილის შორის მტკიცე იდეურ კავშირის ჩამოყალიბებისათვის.

ცხადია, წინადადებას ქონდა სათანადო გამოძახილი, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ კავშირი ჯერ კიდევ განისაზღვრება მხოლოდ იმით, რომ შეფი ერთხელ ან ორჯერ წელიწადში შეივლის ნაწილში, გაუკეთებს მოხსენებას და დაბინავება. ზოგიერთ ნაწილებში კი ამასაც არ აქვს ადგილი.

უმთავრეს ყურადღებას საბჭოთა ხელისუფლება, წითელ შეფობის საქმეში, აქცევს ქალაქის წარმოების წითელ ლაშქართან დაკავშირებას (კავშირი სამოქალაქო სამრეწველო უწყებებთან) ხოლო კავშირი არ უნდა განისაზღვრებოდეს ამა თუ იმ სამრეწველო დარგის ხელმძღვანელის ნაწილთან პირადი კავშირით.

შეფსა და ნაწილებ შუა სისტემატიურ იდეურ კავშირის ჩამოსაყალიბებლად, ცაკთან არსებული ცენტრ. საშეფო კომისია და ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილება სთვლის აუცილებლად ორთავე მხარეებიდან (შეფიდან და ნაწილებიდან) გამოყოფილ იქნას თითო წარმომადგენლები, რომლებსაც უნდა დაევალოს დაუახლოვონ და გააცნონ ერთმანეთს თავიანთი მხარეების ცხოვრება და მოღვაწეობა. საჭიროა შეფის მუდმივ წარმომადგენლის საშუალებით დაკავშირდეთ შეფს, ყოველივე საზეიმო დღესასწაულების და კამპანიების ჩატარების დროს მოვახდინოთ საერთო ექსკურსიები, როგორც ცალკე ნაწილის და სხვა მცირე ნაწილებში, აგრეთვე შეფის ქვემდებარე ორგანიზაციების დასათვალიერებლად.

შეფებმა აუცილებლივ უნდა მიიღონ მონაწილეობა ნაწილების საზაფხულო აგარაკზე წასვლის და მოწყობის საქმეში, პარტიულ და პოლიტ-განმანათლებელ მუშაობაში, ყაზარმების შეკეთებაში, კლუბების და წითელ კუთხეების მოწყობის საქმეში.

ღია პარტიულ კრებებზე შეძლებისდაგვარად მოწვეულ უნდა იქნან საშეფო ორგანიზაციის მუშები და თანამშრომლები, სადაც განხილულ უნდა იქნას, როგორც მორიგი საკითხები პარტიულ მუშაობისა, აგრეთვე ნაწილის მდგომარეობის და გაუმჯობესების შესახებ საკითხები.

რაც შეეხება შეფობის საანგარიშო მხარეს, უკანასკნელის სწორედ დაყენების საქმე და აგრეთვე ნაწილების მიერ მიღებულ საშუალებათა განაწილების წესი, არმიის პოლიტ ორგანოების ფუნქციებში არ შედის. საკონტროლო მუშაობა ამ მხრივ სავსებით აწევს თვით შეფებს, მასალების სისტემატიური შეკრება, ანგარიშის ასლების მიღება და დაგროვება სწარმოებს ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილების საინფორმაციო ქ/განყოფილების საშუალებით.

შენიშვნა: ორ თვეში ერთხელ ნაწილებიდან წარმოდგენილ უნდა იქნას პოლიტგანყოფილებაში საშეფო დახმარების ანგარიში და აგრეთვე შეფის მიერ გატარებულ პოლიტ-მუშაობისა, ორ ცალად. ერთი ცალი ეგზავნება საშეფო კომისიას და ერთი ცალი კი რჩება პოლიტ-განყოფილებაში. (ანგარიში წარმოდგენილ უნდა იქნეს სათანადო ფორმით).

საშეფო მუშაობის ორგანიზაციულ მხარეების მოგვარება და სისტემატიური საინსტრუქტორო მუშაობის წარმოება ევალება ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილების საორგანიზაციო-საინსტრუქტორო ქვეგანყოფილებას.

სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია იქნეს შეძენილი შეფების მიერ, სახლში მიმავალ წითელ არმიელთათვის.

1. ბერტრანის „საფუტკრის მოვლა“.
2. გორთამაშვილი—„მებაღეობა“.
3. ქარცივაძე . „ვაშლის და ხეხილის მუშლი“.
4. ქარცივაძე—„ნაყოფის ჭია“.
5. დარეჯანაშვილი—„როგორ უნდა მოშენდეს აბრეშუმი“.
6. დარეჯანაშვილი—„ხეხილის გამრავლება და მოვლა“.
7. მიწის ახალი კანონი.
8. ლომაური—„მწკრივად მთესველი მანქანა და მისი მნიშვნელობა“.
9. ჩოლოყაშვილი—„როგორ აღვადგინოთ კახეთში ვენახები“.

კოოპერაცია.

1. კომუნაძე—„ვლადიმერ ილიჩი კოოპერაციის შესახებ“.

პოლიტ-საგანმანათლებლო დარგი.

1. კოვალენკო—„პოლიტიკური ანბანი“.

წითელი არმია.

1. ბარათოვი—„ჩვენი წითელი არმია“.
2. წითელი ფლოტი.

1. სოფლის კლუბი და სამკითხველო.
2. რა არის დამზღვევი კასა.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ საშეფო კომისიის

თავმჯდომარე: **მ. ცხაკაია.**

ქართულ მსროლელ დივიზიის სამხედრო

კომისარი **თენგიზ ჟღენტი.**

მეცნიერება და ტექნიკა

მინის დამზადება ახალი თვისებებით.

თანამედროვე ტეხნიკის განვითარება პირდაპირ აოცებს ადამიანს. რა არ კეთდება, რას არ იგონებენ. გუშინ ჯერ კიდევ შეუძლებელი, დღეს შესაძლებელი შეიქნა. იმსხვრევა დიდი სიძნელეები და ყველაფრის ყოველგვარ მიზნებისათვის გამოყენება მეტად იოლ საქმედ გადაიქცა. აბა ვინ იფიქრებდა ჩვეულებრივი შირისაგან (რეზინა) ისეთი მინის დამზადებას, რომელიც გაცილებით უფრო კარგი იქნებოდა უკვე არსებულზე. შირის მინა ყველა თვისებებით დაჯილდოებული კარგად გამჭვირვალეა და სხვა. იგება უძლიერესი პროჟექტორები, რომლებმაც ლამის სრულებით გაჰფანტონ ღამის სიბნელე. კეთდება უდიდესი ჰაერო და გიდრო ჰაეროპლანები, რომლებიც ხმარებიდან გამოსვლით ემუქრება რკინის გზის მატარებლებს და ზღვის გემებს. ეწყობა უძლიერესი რადიო ტელეფონები, რომელთა საშვალებით შესაძლებელი შეიქნა პირდაპირ საუბარი ერთი მეორესთან და ვინ მოსთვლის რამდენი სხვა. ალბად კაცობრიობის განვითარება მალე მიაღწევს იმ უმაღლეს კულმინაციურ წერტილს, თავისი ტეხნიკის განვითარებაში, როდესაც ყოველგვარი სიძნელეები გადალახული იქნება და ადამიანი ისე მოიხმარს ყველა ბუნების ძალებს, როგორც ეს მას ესიამოვნება. ჯერ ჯერობით ადამიანმა ხმელია ზღვის სიღრმეს და სივრცეს თითქმის ჰაერსაც და დაიმორჩილა საშინელება ცეცხლის. მომავლისათვის უდიდესი პერსპექტივები იშლება ჩვენს წინაშე.

მე მინდა შევჩერდე ეხლა ერთ დიდ მიღწევაზე, რომელიც მართლაც დიდ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს. ეს გახლავთ ისეთი მინის დამზადების ამბავი, რომელიც ძირს დაცემით არ ტყდება, უძლებს ჯერ ჯერობით 400 გრადუს სიცხეს და არ სკდება, და ამასთანავე აქვს ყველა ის თვისებები რაც ეხლა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხმარებულ მინას. მინის ასეთი სახე პირველად დაამზადა გასულ წელს პარიზელ ინჟინერმა გორაკიმ. თავისი სიმაგრით იმდენად გამძლეა აღნიშნული მინის სახე, რომ მისი დამუშავება და გაჭრა მეტად ძნელი საქმეა. ახალი მინისა გან ამზადებენ სხვა და სხვა საოჯახო ნივთებს-ჭურჭლებს, ქვაბებს, ტაფებს და სხვა. აბა რამდენად გიგიენური იქნება ასეთი ჭურჭლები ამას მგონი ლაპარაკი აღარ სჭირდება. კონისბერგში ამ უკანასკნელ ხანს მინის ნაწარმოებთა გამოფენის დროს გამართულ ბანკეტზე მიართვეს მინის ტაფებზე მოხრაკული საჭმელები. ახალი გამოგონება ალბათ ჩქარა განდევნის ხმარებიდან ფარფორის, სპილენძის და სხვათა ჭურჭლებს.

შეიხ.

ჩერვონეცის კურსი 27 მარტს

1 ჩერვონეცი 23,000,000,000.

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1 კ.= 23,000,000
2 კ.= 46,000,000
3 კ.= 69,000,000
4 კ.= 92,000,000
5 კ.=115,000,000
6 კ.=138,000,000
7 კ =161,000,000
8 კ.=184,000,000
9 კ.=207,000,000
10 კ.=230,000,000
11 კ =253,000,000
12 კ.=276,000,000
13 კ.=299,000,000
14 კ.—280,000,000
15 კ.=322,000,000
16 კ.=368,000,000
17 კ.=391,000,000
18 კ.=414.000.000
19 კ.=437,000,000
20 კ.=460,000,000
21 კ.=483,000,000
22 კ.=506,000,000
28 კ.=529,000,000
24 კ.=552,000,000
25 კ.=575,000,000
26 კ.=598,000,000
27 კ.=621,000,000
28 კ.=644,000,000
29 კ.=667,000.000
30 კ.=690,000,000
31 კ.=713,000,000
32 კ.=736,000,000
33 კ.=759,000,000
34 კ.=782,000,000
35 კ.=805,000,0“0
36 კ.=828,000,000
37 კ.= 851,000,000
38 კ.= 874,000,000
39 კ.= 897,000,000
40 კ.= 920,000.000
41 კ.= 943,000,000
42 კ.= 966,000,000
43 კ.= 989,000,000
44 კ.=1,012,000,000
45 კ.=1,035,000,000
46 კ.=1,058,000,006
47 კ.=1,081,000,000
48 კ.=1,104,000,000
49 კ.=1.127,000,000
50 კ.=1,150,000,000
51 კ.=1,173,000,000
52 კ.=1,196,000,000
53 კ.=1,219.000,000
54 კ.=1,242,000,000
55 კ.=1,265.000,000
56 კ.=1,288,000,000
57 კ.=1,311,000,000
58 კ.=1,334,000,000
59 კ.=1,357,000,000
60 კ.=1,380,000,000
61 კ.=1,403,000,000
62 კ.=1,426,000,000
63 კ.=1449,,000,000
64 კ.=1,472,000,000
65 კ.=1,595,000,000
66 კ.=1,518,000,000
67 კ.=1,541,000,000
68 კ =1,564,000,000
69 კ.=1,587,000,000
70 კ.=1,400,000,000
71 კ.=1,610,000,000
72 კ.=1,633,000,000
73 კ.=1,656,000,000
74 კ.=1,679,000,000
75 კ.=1,702,000,000
76 კ.=1,748,000,000
77 კ.=1,771,000.000
78 კ.=1,794,000,000
79 კ.=1,817,000,000
80 კ.=1,840,000,000
81 კ.=1,863,000,000
82 კ.=1,886,000,000
83 კ.=1,909,000,000
84 კ.=1,932,000,000
85 კ.=1.955,000,000
86 კ.=1,978,000,000
87 კ.=2,001,000,000
88 კ.=2,024,000,000
89 კ.=2,047,000,000
90 კ.=2,070,000,000
91 კ.=2,093,000,000
92 კ.=2,116,000,000
93 კ.=2,139,000,000
94 კ.=2,162,000,000
95 კ.=2,185,000,000
96 კ.=2,208,000,000
97 კ.=2,231,000,000
98 კ.=2,254,000,000
99 კ.=2,277,000.000
1 მ.=2,300,000,000
2 მ.=4,600,000,000
3 მ.=6,900,000,000
4 მ.=9,200,000,000
5 მ.=11,500,000,000
6 მ.=13,800,000,000
7 მ.=16,100,000,000
8 მ.=18,400,000,000
9 მ.=20,700,000,000
10 მ.=23.000.000.000

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1,300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3 პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. ჩანტლაძე